ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

ტიბეტი – წარსული და დღევანდელობა

ტიბეტი მსოფლიოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე რეგიონია – ის ისტორიულად ჰიმალაის მთებში მდებარეობს და 1, 2 მლნ. კვ. კმ. ტერიტორია უკავია. 1951 წლიდან ეს მხარე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის და ავტონომია აქვს. თუმცა ტიბეტის ავტონომიური რაიონის ფარგლებს გარეთ დარჩენილია სამი ისტორიული ტიბეტური პროვინცია – უ – ც ა ნ გ ი, ქ ჰ ა მ ი და ნ ა მ დ ო. ეს პროვინციები გაერთიანებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ც ი ნ ხ ა ი ს რეგიონში, რომელიც მართალია ავტონომიით არ სარგებლობს, მაგრამ მის შემადგენლობაში შედის ათი ავტონომიური მაზრა, სადაც ტიბეტელები სახლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ტიბეტი დიდ ტერიტორიას მოიცავს, 2012 წლისათვის იქ მხოლოდ 2, 5 მლნ მცხოვრები იყო.

ტიბეტის ისტორია ნაკლებადაა შესწავლილი, რამდენადაც ეს მხარე იმთავითვე არაბუდისტთათვის ჩაკეტილ ზონად მიიჩნეოდა, იქ მოხვედრა ძალიან ძნელი იყო. ტიბეტური ცივილიზაციის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. ტიბეტელებს დღემდე შემორჩათ ისეთი წეს-ჩვეულებები, როგორიცაა მატრიარქატი (ქალის დომინირება ოჯახში), პოლიანდრია (მრავალქმრიანობა) და ნათესაობის ფორმა, რომლის თანახმადაც შვილებს პატრონობს არა მამა, არამდე, დედის ძმა. XX საუკუნის 50-იან წლებამდე, აქ მონობაც იყო [1, 25].

IV საუკუნის დასაწყისში ძინის დინასტიის ტერიტორიაზე დაიწყო ხუთი მთავარი მომთაბარე ტომის აჯანყება. აქედან ორი ტომი – ტ ი და ც ი ა ნ გ ი ტიბეტური ტომები იყო. როგორც ჩანს ისინი აღნიშნულ პერიოდში ჩინეთის გავლენაში იმყოფებოდნენ. საინტერესოა, რომ თანამედროვე ჩინეთში არსებობს ციანგის ეთნიკური უმცირესობა. ისინი სიჩუანის პროვინციაში ტიბეტის პლატოს მოსაზღვრე მიწებზე სახლობენ. დაუდგენელია, არის თუ არა რაიმე ნათესაური კავშირი ანტიკური ეპოქის ციანგის ტომსა და თანამედროვე ციანგის ეთნიკურ უმცირესობას შორის [2, 215].

ადრეული ც ი ნ ი ს იმპერია შეიქმნა 351 წელს. მისი ჩამოყალიბების ინიციატორი აღმოჩნდა ტიბეტური წარმოშობის ტომი ტი. ეს ტომი და მთლიანად ადრეული ცინის იმპერია 16 სამეფოს ხანაში უნიკალური მოვლენა იყო. საქმე ისაა, რომ ტი-ს ტომი განსხვავებით ამ ეპოქის სხვა ძირითადი ტომებისაგან, არა მეცხენეობას, არამედ მიწათმოქმედებას მისდევდა. ჯერ კიდევ ხანის იმპერატორის მმართველობისას, ტი-ს ტომი გადასული იყო ბინადარ ცხოვრებაზე. ისტორიულად ისინი არც ომისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდნენ და ცხენოსანი დანაყოფებიც მეორეხარისხოვანი იყო მათ არმიაში [2, 241].

VII საუკუნის პირველ ნახევარში ინტენსიურად წარიმართა ჩინეთ-ტიბეტის ურთიერთობა. კერძოდ, 634 წელს ჩინეთის დედაქალაქ ჩ ა ნ გ ა ნ შ ი ჩავიდა ელჩობა ტიბეტიდან. მოგვიანებით, 647 წელს, ჩინეთსა და ტიბეტს შორის დამყარდა მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც გაამყარა ქორწინებამ ტიბეტის მეფეს ს რ ო ნ გ ც ე ნ გ ა მ პ ო ს ა და ჩინეთის პრინცესა ვ ე ნ ჩ ე ნ გ ს (628-682) შორის. ტიბეტის ადმინისტრაციულ ცენტრში – ლ ჰ ა ს ა შ ი დასახლდნენ ჩინელი ჩინოსნები, სამხედრო პირები და ვაჭრები [2, 283].

პრინცესამ ტიბეტელებს ასწავლა ბოსტნეულის მოყვანა, მარცვლეული კულტურების დათესვა და ფქვილის მიღება, ასევე, ღვინისა და ალკოგოლური სასმელების დაყენება. პრინცესას „რეფორმებამდე“ „მთის შვილები“ ძირითადად ხორცით იკვებებოდნენ, მაგრამ ბუდიზმის მიღების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა მენიუ. გა-

ირკვა, რომ ეს ცვლილებები ყველასთვის არ აღმოჩნდა მისაღები, რამდენადაც მეფე-დედოფალმა დანერგა სახელმწიფოს მართვის ახალი პრინციპები და სამხედრო ორგანიზაციის განსხვავებული ტიპი. და, რაც მთავარია პრინცესას ინიციატივით ჩინეთიდან გავრცელდა ბუდიზმი ტიბეტში.

ლამაზი მეუღლის საპატივსაცემოდ მეფემ წითელ გორაზე ააშენა ხის სასახლე, რომელიც უფრო მეტად მოგვაგონებდა ციხე-სიმაგრეს. სასახლეს შემორტყმული ჰქონდა დამცავი კედლები კოშკებით. ეს შენობა თითქმის ასი წელი არსებობდა და დაიწვა მეხის დაცემის შედეგად. მომდევნო მმართველები სასახლის რეკონსტრუქციაზე არ ფიქრობდნენ და, ახალი სასახლე იგივე ადგილზე, მხოლოდ 1000 წლის შემდეგ აშენდა [3, 4].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუდიზმმა ახალი მიმართულება შეიძინა ტიბეტში, სადაც გაიშალა დიდი სამონასტრო საქმიანობა, ხოლო თავად მოძღვრებამ მიიღო ტ ა ნ ტ რ ი ზ მ ი ს სახელი. ტანტრიზმში ფაქტობრივად ძალზე მცირე დარჩა ორთოდოქსული ბუდისტური მოძღვრებიდან. შეიცვალა მისი ფილოსოფიური, ეთიკური საფუძველი, რომლის ძირითადი შემოქმედნი იყვნენ ტიბეტელი ლამები [4, 69].

ბუდიზმის ვ ა ჯ რ ა ი ა ნ ი ს ტ უ ლ მ ა მიმართულებამ დიდი როლი შეასრულა ლამაიზმის ფორმირებაში, რომელმაც ასევე ბევრი ელემენტი შეითვისა ბუდიზმის სხვა მიმართულებებიდან. სწორედ ლამაისტებმა შეკრიბეს და განმარტეს მანამდე არსებული ყველა ბუდისტური ტექსტი. ამ კრებულის მოცულობამ კი ას ტომამდე მიაღწია.

ლამაიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ლამებს. ლამაიზმი აცხადებს, რომ ლამების ხელმძღვანელობის გარეშე ჭეშმარიტ სულიერ გზაზე დადგომა შეუძლებელია. ლამას უფლება აქვს თავისი მოწაფის ყველა სულიერი მოძრაობა აკონტროლოს, ეს უკანასკნელი კი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს მას.

ლამაიზმში სასულიერო იერარქია მკაცრად ცენტრალიზებულ სისტემას წარმოადგენს. მათ უმაღლეს ხელმძღვანელს კი ეწოდება

დ ა ლ ა ი – ლ ა მ ა (მონღ. დალაი – ოკეანე, ლამა – მოძღვარი) ანუ ოკეანის მსგავსი მოძღვარი). ლამებს თაყვანს სცემენ, როგორც ცოცხალ ღვთაებებს, რადგან ითვლება, რომ მათში განხორციელებულია რომელიმე ბ ო დ ჰ ი ს ა ტ ვ ა და ზოგჯერ თავად ბუდაც [5, 258-259].

გახდე დალაი-ლამა, იმიტომ, რომ ფლობ მაღალ მორალურ და საქმიან თვისებებს – შეუძლებელია. ტიბეტელები გარდაცვლილი სასულიერო ლიდერის მაგიერს XIV საუკუნიდან ეძებენ, როგორც ახალ განსახიერებას მათთვის მისაღები ნიშნებით [6, 9]. ითვლება, რომ მასში ყოველ ჯერზე იბადება ა ვ ა ლ ო კ ი ტ ე შ ვ ა რ ა – ბუდისტური პანთეონის გამორჩეული ღმერთი [6, 8].

ბუდისტური რწმენით, ყველა ადამიანის სული ხორციელი სიკვდილის შემდეგ რეინკარნაციას განიცდის და ან ისევ ადამიანად ევლინება ამ ქვეყანას, ან რაიმე ცხოველის თუ მცენარის სახით – გააჩნია, რამდენად ცოდვილი იყო „წინა ცხოვრებაში“.

ძველთაგანვე, როცა დალაი-ლამა გარდაიცვლებოდა, ბუდისტი ბერები მთელ ტიბეტში ეძებდნენ მის რეინკარნაციას – ბავშვს, რომელიც იმ წუთსა და წამს იქნებოდა დაბადებული, როდესაც დალაი-ლამა გარდაიცვალა. ასეთი ბავშვი უკვე დალაი-ლამად ითვლებოდა და მას ლჰასას სასახლეში საგანგებოდ ზრდიდნენ ბერები. სრულწლოვანობის ასაკიდან კი ის ტიბეტის მართვას იწყებდა [1, 26].

ლამაიზმის თანახმად სამყაროში არსებობს ხუთი დიდი ცოდვა. მხოლოდ ის, ვინც აიცილებს მათ, შეუძლია სრულყოფილების გზას დაადგეს. ყველაზე დიდ ცოდვად მიჩნეულია გ უ ლ უ ბ რ ყ ვ ი ლ ო ბ ა დ ა ს უ ლ ე ლ უ რ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი. შემდეგ მოდის თ ა ვ შ ე უ კ ა ვ ე ბ ლ ო ბ ა, შ უ რ ი, ე გ ო ი ზ მ ი დ ა ს ხ ვ ი ს ი ს ი კ ე თ ი ს მ ი თ ვ ი ს ე ბ ა. ცოდვების მოსაშორებლად ადამიანს ურჩევენ ლოცვას, დაძაბულობის მოხსნას, წმინდა ტექსტების შესწავლას, მონასტერში წასვლას.

მონასტრების შესასვლელში დგას სალოცავი წისქვილები, რომლებსაც ხელით ატრიალებენ მორწმუნეები. ამ მბრუნავი, მრავალკუთხიანი პრიზმას კუთხეებზე ტიბეტურ ენაზე აწერია ბუდისტე-

ბის მთავარი ლოცვა: „ო მ მ ა ნ ი პ ა დ ი ხ უ მ!“ – „ო ლოტოსო, ძვირფასო ყვავილო!“ ამ ლოცვას ბუდისტები მექანიკურად იმეორებენ არა მხოლოდ ტაძარში, არამედ მუშაობის დროს, მოგზაურობისას... [7, 47]. თითქმის 1920 წლამდე ტიბეტის 800 მონასტერში, მოსახლეობის მამაკაცთა მესამედი ატარებდა ბერის მოსასხამს. ტრამალებზე და ქალაქებში აღევლინებოდა ლოცვა [8, 8].

ისტორიული პროცესები კი შემდეგნაირად ვითარდებოდა: VIII საუკუნის I ნახევარში ტიბეტელები იმდენად გაძლიერდნენ, რომ თურქ მომთაბარეებთან ერთად „მრავალი წლის განმავლობაში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ თ ა ნ გ ი ს იმპერიას“ [2, 288].

გაძლიერებული ტიბეტი გარკვეულ თავის ტკივილად იქცა ჩინეთისათვის. ჩინეთის ხელისუფლებამ შექმნა სასახლის არმია, რომელშიც 100 ათასამდე მეომარი შედიოდა. ტ ე ნ უ ნ გ მ ა მოახერხა ნანჭაოსა და ტიბეტის გათიშვა, გააძლიერა გარნიზონები იმპერიის ჩრდილო-დასავლეთში და შეაკავა ტიბეტური საფრთხე [2, 293].

იმპერატორი თ ა ნ გ ს ი უ ე ნ წ უ ნ გ ი ტახტზე საჭურისების დახმარებით ავიდა. 849-851 წლებში მის მიერ წამოწყებული ომი ტიბეტთან თანგის იმპერიის გამრჯვებით დასრულდა [2, 298].

ამის შემდეგ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ტიბეტის შესახებ წყაროები მცირე ინფორმაციას გვაწვდიან. მოგვიანებით, მონღოლების გამოჩენამ პოლიტიკურ ასპარეზზე, რეგიონში ვითარება რედიკალურად შეცვალა. როგორც ცნობილია, მონღოლები დაპყრობილ ქვეყნებში რელიგიურ ტოლერანტობას იჩენდნენ. ეკლესია-მონასტრებს და სასულიერო წოდების ორგანიზაციებს ყოველგვარი გადასახადებისგან ათავისუფლებდნენ. ამის თაობაზე ერთხმად აღნიშნავენ სხვადასხვა წერილობითი წყაროები (მათ შორის ქართველი მემატიანე). ჩინეთში მოხვედრილ მონღოლთა უმეტესმა ნაწილმა ბუდიზმი მიიღო, განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი დაამყარეს მათ ტიბეტურ ბუდიზმთან – ლამაიზმთან. XIII საუკუნის შუა ხანებიდან მონღოლთა სასახლის კარის ოფიციალურ სარწმუნოებად სწორედ ლამაიზმი იქცა. ტიბეტის საქმეთა და ლამაისტური ეკლესიის უწყება, რომელიც სასახლის კარზე შეიქმნა,

თავისი გავლენით დანარჩენ ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებს არ ჩამოუვარდებოდნენ. გადმოცემის თანახმად ყ უ ბ ი ლ ა ი ყაენი უპირატესობას სწორედ ტიბეტურ ბუდიზმს ანიჭებდა, ვიდრე ქრისტიანობას. ამის მიზეზი ის იყო, რომ თურმე ტიბეტელმა ლამებმა მოახერხეს, ღვინით სავსე ფიალა თავისით აწეულიყო ყაენის ტუჩებამდე, რაც ვერ შეძლეს ქრისტიანმა მისიონერებმა.

მონღოლთა უკანასკნელი მმართველი ჩინეთში ტ ო გ ო ნ თ ე მ უ რ ყაენი ასევე გატაცებული იყო ტიბეტური ბუდიზმის რიტუალებითა და შელოცვებით, რის შესახებაც გვამცნობს ჩინური საისტორიო წყარო „იუენ ში“ (ანუ „იუენის ისტორია“) [2, 357-258].

პირველი ხელმისაწვდომი ცნობები ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ხალხის შესახებ, ევროპაში მოქონდათ ვაჭრებსა და კათოლიკე ბერებს. მაგალითად, იუენის პერიოდის ჩინეთში მოღვაწეობდა იტალიელი მოგზაური და ფრანცისკანელი მისიონერი ო დ ო რ ი კ ო დ ე პ ო რ დ ე ნ ო ნ ე. 1316-1330 წლებში ის აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდა (ინდოეთში, ინდონეზიაში...), 1324 წელს კი ჩინეთში ჩავიდა და გარკვეული ხნის მანძილზე ხანბალიკში მონტეკორვინის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა. ის იყო შუა საუკუნეების პირველი ევროპელი, რომელმაც ტიბეტი მოინახულა მის დედაქალქ ლჰასასთან ერთად, რომელიც წმინდა ადგილად იყო აღიარებული იუენის სამეფო კარზე [2, 353].

არის მეორე ვერსიაც, რომლის თანახმად ეს იყო ეროვნებით ჩეხი ტ ი უ შ ო დ ო რ ი კ ო, რომელმაც იმოგზაურა ირანში, ავღანეთში, ინდოეთში, ჩინეთში... მოგზაური შთაბეჭდილებებს იწერდა. ტიბეტში ნანახს ოდორიკო შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ამ ქვეყნის მოსახლეობა ცხოვრობს შატრებში – რელიგია ბუდიზმის ჩრდილოური განშტოებაა – ლამაიზმი, რომელიც ახლოს არის შამანიზმთან“. მოგზაურს აშფოთებს, რომ „გარდაცვლილებს ტიბეტში არ მარხავენ, როგორც მიღებულია ქრისტიანებში, არამედ ჩეხავენ ნაწილებად და ტოვებენ წმინდა ფრინველების – სვავების შესაჭმელად“ [9, 34-35].

მომდევნო საუკუნეებშიც ტიბეტი ხშირად ხდებოდა მონღოლუ-

რი ტომების თავდასხმის ობიექტი, განსაკუთრებით XVII საუკუნეში. ერთ-ერთი ასეთი აგრესია განხორციელდა აღნიშნული საუკუნის პირველ ნახევარში. მონღოლური ტომების გაერთიანების ანუ ოირატის ხელმძღვანელმა ხ ო შ უ ტ მ ა, იგივე გ უ შ ი ხანმა 1636-1642 წლებში წამოიწყო სამხედრო კამპანია ტიბეტში, საკუთარი გავლენის გასაფართოებლად [2, 440].

ჯუნგარების ლიდერის ს ე ნ გ გ ე ს უმცროსი ძმა გ ა ლ დ ა ნ ი XVII საუკუნის 60-იან წლებში ლჰასაში ჩადის და იმდროინდელ, მეოთხე პ ა რ ჩ ე ნ ლამას კარზე, რომელიც შემდეგ მეხუთე დალაი ლამა ხდება, იწყებს მსახურებას, როგორც ბუდისტი ღვთისმსახური. გალდანმა გამოიყენა ტიბეტში პანჩენ ლამასთან ყოფნა და აქტიურად დაიწყო ბრძოლა ნახევარძმასთან [2, 441].

ჯ ა ო მ ო დ ო ს ბრძოლით წერტილი დაესვა ჯუნგარების აღმოსავლეთით გაფართოებას, თუმცა ომი ამით არ დასრულებულა. ცინის დინასტიასა და ჯუნგარებს შორის დაპირისპირება კიდევ დაახლოებით 50 წელი გაგრძელდა, უკვე ტიბეტსა და სინძიანზე გავლენის მოპოვებისათვის და მასში ჩართული იყო ქინგსის შვილი ი უ ნ გ ჭ ე ნ გ ი და შვილიშვილი – ც ი უ ნ ლ უ ნ გ ი.

დამარცხებულმა ჯუნგარებმა საბოლოოდ ხელი აიღეს აღმოსავლეთ აზიაზე, დაბრუნდნენ სინძიანში და იქ შეეცადნენ ძალაუფლების კონსოლიდაციას. 1717 წელს გალდანის ძმისშვილმა ც ე ვ ა ნ გ მ ა ჯარები დაძრა ტიბეტისკენ. ჯუნგარები ტიბეტური ბუდიზმის მიმდევრები იყვნენ და აქტიური შეხება ჰქონდათ ტიბეტურ პოლიტიკასთან. ცევანგის ჯარებმა დაიკავეს ლჰასა და ტახტიდან ჩამოაგდეს დალაი ლამა. მანჯურიელებს ზუანგ თაიძის დროიდან ასევე გამოცხადებული ჰქონდათ, რომ ტიბეტური ბუდიზმის მიმდევრები იყვნენ.

ქანგსიმ გამოიყენა ჯუნგარების ლჰასაში შეჭრა და 1720 წელს წამოიწყო ექსპედიცია დასავლეთის მიმართულებით. ტიბეტში ჩინური ჯარები რამდენიმე მხრიდან შევიდნენ. მათთან მჭიდროდ თანამშრომლობდა ტიბეტელთა გარკვეული ნაწილი. ამავე წელს ლჰასადან ჯუნგარები საბოლოოდ განდევნეს. ტიბე-

ტი უკვე ოფიციალურად დაექვემდებარა პეკინსა და ცინის დინასტიას [2, 453-454].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტიბეტური თეოკრატია (მმართველობის ფორმა, როდესაც მთელი ძალაუფლება სულიერი წინამძღოლის ხელშია), დიდად აზარალა ჩინეთში ცინის მანჯურიული დინასტიის გამეფებამ. ლჰასაში ჯერ კიდევ 1645 წელს თეთრი სასახლე აშენდა მეხუთე დალაი-ლამას ბრძანებით. 1694 წელს კი დასრულდა წითელი სასახლის მშენებლობაც. შეიქმნა გრანდიოზული კომპლექსი, რომელიც მდებარეობს მთებში – 3 700 მეტრ სიმაღლეზე. საყურადღებოა, რომ მშენებლობა რეკორდულ დროში დასრულდა: თეთრი სასახლე – სამ წელიწადში, წითელი – ოთხში. ერთია, რომ შიდა სამუშაოები ნახევარი საუკუნე გაგრძელდა. აქ მუშაობდნენ ინდოელი, ნეპალელი და ჩინელი ოსტატები [3, 4].

სასახლეში არის დაახლოებით ათასი ოთახი, 200 ათასი ქანდაკება და ინახება 10 ათასი წმინდა რელიკვია.

1649 წლიდან თეთრი სასახლე გამოიყენებოდა დალაი-ლამას საზამთრო რეზიდენციად. ის ცხოვრობდა მეშვიდე სართულზე „მზის სხივების პალატაში". მეხუთე სართულზე განთავსებული იყო ჩინოვნიკების კაბინეტები. ქვევით ფუნქციონირებდა სემინარია და ტიპოგრაფია.

სასახლეში ყველაზე გამორჩეული საძვალე განეკუთვნება სასახლის ამშენებელს, მეხუთე დალაი-ლამას. მისი საძვალის საფეხურებზე დაიხარჯა 3 700 კილოგრამი ოქრო, 16 680 ბრილიანტი და ძვირფასეულობა [3, 5].

მანჯურიელებმა თავიდან ტიბეტის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი – უ – ცანგის, ქჰამისა და ნამდოს მხარეები დაიპყრეს და სამივეს ერთად „ც ი ნ ხ ა ი" უწოდეს. ცინხაიში იმთავითვე დაიწყო ჩინელების ჩასახლება და XVIII საუკუნის შუა წლებში იქ ტიბეტელების რაოდენობა პროცენტულად დიდად შემცირდა, ჩინელებისა კი გაიზარდა.

უ – ცანგის, ქჰამის, ნამდოს მხარეთა დაკარგვამ ტიბეტზე ძალზე უარყოფითად იმოქმედა, – ქვეყანა ცინის იმპერიის უღელქვეშ თავისთავად აღმოჩნდა, რადგანაც ბუდიზმის პაციფისტური

სწავლებისაგან გამომდინარე, არმია არ ჰყავდა და დალაი-ლამაც იძულებული შეიქმნა, მანჯურიელთა ულტიმატუმი დაეკმაყოფილებინა, – ჩინეთის იმპერატორი უზენაეს მმართველად ეცნო, საგარეო პოლიტიკა მისი კარნახით ეწარმოებინა და მხოლოდ სასულიერო ხელისუფლებით დაკმაყოფილებულიყო. სამაგიეროდ, ცინის იმპერიის მესვეურები დალაი-ლამას აღუთქვამდნენ, რომ ტიბეტის მონასტრებს ხელს არ ახლებდნენ და არც ტიბეტელთა ცხოვრების წესს მოშლიდნენ [1, 26].

ტიბეტელები დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ ნეპალურ ვერცხლის მონეტებს, როგორც ფულად ერთეულს და ორი რეგიონის ვაჭრებსა და მოსახლეობას აქტიური გაცვლა-გამოცვლა ჰქონდათ. XVIII საუკუნის შუა ხანებში ქვეყნის შიგნით მიმდინარეობდა მმართველებს შორის ბრძოლები. კერძოდ, გ ო რ ქ ხ ა ს სამეფოს მიერ კ ა ტ მ ა ნ დ უ ს ველის ბლოკადამ დააზიანა აქამდე სანდო ტიბეტური ვერცხლის მონეტების ინდუსტრია და მათ მიმოქცევაში სპილენძი შეურიეს.

1769 წლიდან შაჰის დინასტიამ დაიწყო ნეპალის მართვა, თუმცა ისინი ტიბეტელი ვაჭრებისა და სოვდაგრების მხრიდან წააწყდნენ დიდ წინააღმდეგობას. ტიბეტელები მოითხოვდნენ, რომ მიმოქცევიდან ამოეღოთ ყველა შერეული მონეტა და მხოლოდ ვერცხლის ნომინალები გამოეყენებინათ. ნეპალელები პირობას იძლეოდნენ, რომ გააკონტროლებდნენ და მხოლოდ ვერცხლის ფულს გამოიყენებდნენ, თუმცა ათასობით მონეტის ჩანაცვლება უზარმაზარ დანახარჯებს იწვევდა და მათ ეს არ შეეძლოთ. ამას მოჰყვა ნეპალელი ვაჭრების ლჰასასა და სხვა ქალაქებში შევიწროება მონეტების პრობლემის გამო. სიტუაცია სულ უფრო მძიმდებოდა. ფინანსურ ფონზე წარმოქმნილ კრიზისს დაემატა ლჰასადან დევნილი ლამებისათვის ნეპალში თავშესარის მიცემა. თავდაპირველად ნეპალელებმა სცადეს დელგაციის გაგზავნით მოეგვარებინათ ფინანსური პრობლემები, მაგრამ ტიბეტელები უარზე იყვნენ, მიმოქცევაში მიეღოთ შერეული მონეტები და ასევე არ უშვებდნენ იმ ვაჭრებს, რომლებიც იყენებდნენ ამ სახის მონეტებს.

1788 წელს ნეპალის მმართველმა ბ ა ჰ ა დ უ რ შაჰმა გაგზავნა ჯარი ტიბეტში, რომელმაც უპრობლემოდ აიღო რამდენიმე დასახლებული პუნქტი. პანჩელ ლამამ მოლაპარაკება ითხოვა და სარდლები სამშვიდობო მაგიდასთან მიიწვია. პარალელურად ცინის დინასტიისაგან მოითხოვა მისი ვადლებულების შესრულება და ტიბეტის დაცვა. იმპერატორმა ც ი ე ნ ლ უ ნ გ მ ა ც არ დააყოვნა და ჯარი გაგზავნა ტიბეტში. სანამ ცინის ჯარები ტიბეტში შევიდოდნენ, მანამდე პანჩე ლამამ დრო მოიგო და იკისრა იმ დანაკარგის ანაზღაურება, რაც ნეპალელ ვაჭრებს მიადგათ მათი აკრძლვების გამო. 70 000 მეომარი მიდიოდა ტიბეტისკენ და 1792 წელს ისინი ლჰასაში შევიდნენ. ცინის გენერლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ნეპალელების დასჯა. მიუხედავად პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკისა, 70 000 ჩინელი და მანჯურიელი სერიოზული ძალა იყო და ნეპალელები იძულებულნი იყვნენ, მოლაპარაკება ეთხოვათ. იმავე წელს გაფორმდა ზავი, რომლის მიხედვით, ნეპალი აღიარებდა ცინის დინასტიის უფლებებს ტიბეტზე და ასევე თავადაც იღებდა ვალდებულებას, გადაეხადა გადასახადი მანჯურიელთათვის. სამაგიეროდ, მანჯურიელები კისრულობდნენ ნეპალელების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ მათ საგარეო საფრთხე დაემუქრებოდათ. ასე წარმატებით დასრულდა ტიბეტში უცხო ძალების შემოჭრის ალაგმვა და კიდევ უფრო განმტკიცდა მათი გავლენა ადგილობრივ სასულიერო პოლიტიკურ საქმეებზე [2, 469-470].

დიდ ბრიტანეთთან მძიმე დიპლომატიური ურთიერთობის პარალელურად იმპერიის დასავლეთ ნაწილში იზრდებოდა დაძაბულობა ტიბეტის გარშემო. ეს ქვეყანა, როგორც აღმოსავლეთ აზიის ბუდისტური ცენტრი ხშირად ხვდებოდა მეზობელი სახელმწიფოების ინტერესის სფეროში. უკვე აღინიშნა, რომ ცინის დინასტიას გადატანილი ჰქონდა რამდენიმე ომი ტიბეტის დასაცავად ჯუნგარებისა და ნეპალელების წინააღმდეგ, რის შედეგადაც პეკინის გავლენა რეგიონზე კიდევ უფრო გაძლიერებული იყო.

დღევანდელი ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიებზე XVIII საუკუნის დასაწყისიდან ყალიბდებოდა ს ი ქ ჰ ე ბ ი ს იმპერია. რე-

ლიგიური მსოფლმხედველობა ს ი ქ ჰ ი ზ მ ი აღმოცენდა XV საუკუნეში, როგორც რეფორმატორული მიმდინარეობა ინდუიზმში. სიქჰები აღიარებენ ერთღმერთიანობას, ადამიანთა თანაგრძნობას, არ სცნობენ ღმერთის გარეგნულ ფორმას. ისინი მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ინგლისელ კოლონიზატორებს [10, 43].

სახელმწიფოს ფორმირების პროცესი უშუალოდ უკავშირდება მ ო გ ო ლ ე ბ ი ს დინასტიის დასუსტებასა და ა უ რ ა ზ გ ე ბ ი ს სიკვდილს. 1799 წელს სიქჰების ჯარმა დაასრულა სახელმწიფოს ფორმირების პროცესი. დედაქალაქად პ ე ნ ჯ ა ბ ი და დინასტიის დაარსება გამოაცხადეს. სიქჰების იმპერია ტერიტორიულ დავებში იყო ჩართული მეზობელ ავღანეთთან და ცდილობდა აზიის სავაჭრო მარშრუტებზე მოეპოვებინა კონტროლი. ავღანელებთან წარმატებული ომის შემდეგ, სიქჰებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა ტიბეტთან მომავალმა სავაჭრო-საქარავნო გზებმა, რომლებიც ცინის დინასტიას ექვემდებარებოდა. მას შემდეგ, რაც პეკინსა და ლონდონს შორის ურთიერთობა ჩიხში შევიდა და მხარეებმა სამხედრო დაპირისპირება დაიწყეს, სიქხებმა ჩათვალეს, რომ შესაბამისი მომენტი დადგა, საბოლოოდ გაეკონტროლებინათ ტიბეტზე გამავალი საქრავნო გზები. დღეს, როდესაც პეკინიდან ლჰასამდე რკინიგზა თავისუფლად მიდის, მაინც პრობლემურია გადაადგილება რთული კლიმატური პირობების გამო. იმ პერიოდში კი ჩინურ და მანჯურიულ ჯარებს საომარი ოპერაციების დროს საკმაოდ უჭირდათ სწრაფი გადაადგილება [2, 501-502].

მხარეებს შორის სავაჭრო გზების გაკონტროლება დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. თუმცა ასევე არის ვერსია, რომ სიქჰები ემზადებოდნენ ბრიტანელებთან ომისათვის. შესაბამისად სჭირდებოდათ ნეპალთან პირდაპირი გზით დაკავშირება, ხოლო ნეპალსა და სიქჰების მიერ კონტროლირებად ტერიტორიამდე გზა ლ ა დ ა კ ზ ე გადიოდა. ოპიუმის ომის მიმდინარეობისას სიქჰების შედარებით მცირერიცხოვანმა ჯარმა, დაახლოებით 5-6 ათასმა მებრძოლმა, 1841 წლის ზაფხულში გადაიარა უღელტეხილები და ტიბეტის ტერიტორიაზე გადავიდა. რთული გეოგრაფიული მდება-

რეობისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო უღელტეხილებსა და მასზე მდებარე სიმაგრეებს ტიბეტელების მცირერიცხოვანი გარნიზონი იცავდა. თანაც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ოყო გასული, რაც მანჯურიულ-ჩინურ-ტიბეტურ ძალებს აღეკვეთად ნეპალელების თავდასხმა ტიბეტზე და რეგიონში მშვიდობა სუფევდა. ამიტომ მოულოდნელ შეტევას არავინ მოელოდა. სიქხებმა აიღეს რამდენიმე მცირე დასახლება, ქალაქი ტ ა კ ლ ა კ ო ტ ი (თანამედროვე ბ უ რ ა ნ გ ი) და შეუდგნენ ოკუპირებული ტერიტორიების მართვა-გამგეობას. თუმცა ბრიტანელების წარმომადგენელი პენჯაბში მოითხოვდა ჯარების უკან გამოყვანას, რადგან ბრიტანელებს ტიბეტთან დაკავშირებით შორს მიმავალი გეგმები ჰქონდათ. ტაკლაკოტის აღება სავაჭრო გზებზე კონტროლის დაკარგვას ნიშნავდა, ამიტომ სახელისუფლებო დესპანი პეკინიდან სწრაფად ჩავიდა რეგიონში და კონტრშეტევისთვის მზადება დაიწყეს. იმავე წლის დეკემბერში ჩინურ-ტიბეტურმა საპოლიციო ძალებმა შეუტიეს სიქჰების მიერ დაკავებულ სიმაგრეებს, ბრძოლების პარალელურად კლიმატური პირობები გაუსაძლისი გახდა ორივე მხარისათვის. საბრძოლო დანაკარგების მხრივ ბრძოლა სიქჰების სასარგებლოდ დასრულდა. ორივე მხარე ცდილობდა სწრაფად მიეღწიათ სამშვიდობო შეთანხმებისათვის, რადგან ორივეს საერთო სამხედრო მოწინააღმდეგე ჰყავდა ბრიტანელების სახით. ძალთა გადაჯგუფების შემდეგ ჩინურ-ტიბეტური სამხედრო ექსპედიცია მეორედ გადავიდა კონტრშეტევაზე 1842 წლის აგვისტოში, თუმცა ისევ წარუმატებლად. მეტიც, სიქჰებმა შური იძიეს ზ ო ვ ა ჰ ა რ ს ი ნ გ ხ ი ს სიკვდილისათვის. შეტაკებებისას დაატყვევეს და სიკვდილით დასაჯეს ჩინელი სამხედრო მაღალჩინოსანი.

შემქნილი ვითარების გაანალიზების შემდეგ მხარეებმა მოლაპარაკება გადაწყვიტეს, რომლის მიხედვითაც აღდგა ომამდელი სტატუს კვო და შიარაღებული ძალები დაუბრუნდნენ ძველი ლოკაციის ადგილს. ლადაკი გამოცხადდა მხარეებისთვის თავისუფალ სავაჭრო ზონად, სადაც ტიბეტური და სიქხური ქარავნებიც უპ-

რობლემოდ იმოძრავებდნენ. მიუხედავად აქტიური მოქმედებებისა, სამომავლოდ ორივე მხარე ისევ დამარცხდა ბრიტანეთის სახელმწიფოსთან, ხოლო სიქჰების იმპერიამ 1849 წელს არსებობა შეწყვიტა [2, 502-503].

შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის ტიბეტი წარმოადგენდა ჩამორჩენილ, განუვითარებელ სახელმწიფოს მართვის მოძველებული ფორმებით, მკაცრი ჩვევებით. გამოირჩეოდა სიღარიბით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა დაუჯერებელი, ბარბაროსული ტრადიციები. მაგალითად, მებატონემ გაგზავნა თავისი ხელქვეითი (მათ ჰქონდათ მონის სტატუსი) დავალებით შორეულ სოფელში, რომელმაც ვერ მოასწრო დროულად დაბრუნება და ღამე გზად მინდორში გაათია. ტერიტორია ადგილობრივ ფეოდალს ეკუთვნოდა. როდესაც მინდვრის მფლობელმა საკუთარ მამულში ნახა უცხო ადამიანი, მოსთხოვა თანხის გადახდა. რადგან მას ფული არ აღმოაჩნდა მკლავი მოკვეთა. როდესაც უბედური დაბრუნდა სახლში, დაინვალიდებული მონის ნახვით განრისხებულმა პატრონმა ბრძანება გასცა მეორე ხელიც მოეკვეთათ [6, 9].

XII დალაი-ლამას გარდაცვალებისთანავე, ტრადიციიდან გამომდინარე დაიწყეს ახალი ლიდერის ძებნა. მინიშნებით ასეთი აღმოჩნდა დ ა გ პ ო ლ ა ნ გ დ უ ნ შ ი 1876 წლის 27 მაისს დაბადებული ჩვილი. მალე მთიან სოფელში გამოჩნდნენ ბუდისტი ბერები, რომლებმაც „იცნეს" და ბავშვი წაიყვანეს ლჰასაში, პ ო ტ ა ლ ა ს სასახლეში, რომელიც ითვლება ტიბეტელი ლამების რეზიდენციად.

1879 წელს 3 წლის ასაკში ბიჭი გახდა XIII დალაი-ლამა. სახელად უწოდეს ნ გ ა ვ ა ნ გ ლ ო ბ ს ა ნ გ თ ხ უ პ ტ ე ნ გ ი ა ც ო, თუმცა მცირეწლოვანების გამო სახელმწიფოს მართვის რეალური შესაძლებლობა მას არ გააჩნდა. მართვის სადავეები აღმოჩნდა რეგენტის – დ ე მ ო ხ უ ტ უ ხ ტ ი ს და მისი ძმის ნ ო რ ბ ო ც ე რ ი ნ ი ს ხელში. ეს უკანასკნელი იყო ტიბეტის ერთ-ერთი მდიდარი მონასტრის მთავარი ხაზინადარი. ეშმაკი ძმები ეპირფერებოდნენ ჩინეთის წარმომადგენელს და სურვილი ჰქონდათ ქვეყნის ხელმძღვანელობას მთლიანად დაუფლებოდნენ. დალაი-ლამამ ამის შესახებ

იცოდა. ასევე იცოდა, რომ ნორბო ცერინი ფულს იპარავდა მონასტრის სალაროდან და გათხოვილ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა.

1895 წელს დალაი-ლამამ მიიღო უტყუარი ინფორმაცია, რომ დემო ხუტხუტა მასზე თავდასხმას ამზადებდა. ორივე ძმა დააპატიმრეს და მათი ქონება ხაზინას გადასცეს. ცოტა ხანში ყოფილი რეგენტი ციხეში დაახრჩვეს (სხვა წყაროებით მოულოდნელად გარდაიცვალა მონასტერში, სადაც გაუსვლელობის პირობით იყო გადასახლებული).

დალაი-ლამას ხელში აღმოჩნდა რეალური ძალაუფლება. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ტიბეტით დაინტერესდა ორი პოლიტიკური ანტიპოდი – ინგლისი და რუსეთი. ორივე ქვეყანამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აითვისეს აზიის რეგიონები: ინგლისი მიიწევდა ინდოეთის გავლით ჩრდილოეთისაკენ, მანჯურიასა და მონღოლეთზე.

ორივე მათგანს სურდა ტიბეტი გადაექცია თავის ვასალად. ჩინეთის იმპერია ამ დროისათვის სუსტი იყო და ყოვლის შემძლე კონკურენტებთან, რომლებმაც წამოიწყეს „დიდი თამაში" (იმ წლების პოლიტიკური ტერმინი ტიბეტთან დაკავშირებით), ადვილი არ იყო პროცესებში ჩართვა. აღსანიშნავია, რომ ინგლისელები იყვნენ პირველი ევროპელები, რომლებმაც ლჰასა იხილეს XIX საუკუნეში და შეხვდნენ იმჟამინდელ დალაი-ლამას. ასევე პირველები იყვნენ ინგლისის სამხედრო ექსპედიციის წევრები, ვინც 1904 წლის 3 აგვისტოს იარაღით შვიდა წმინდა ქალაქში [11, 10].

XIII დალაი-ლამას ჭირდებოდა საკმაოდ მაღალი დონის დიპლომატიური ტალანტი, ხასიათის სიმტკიცე და გონების შორსმჭვრეტელობა, რათა გაეძლო ზეწოლისათვის და დაეცვა თავისი ინტერესები.

ინგლისელებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ტიბეტის მეთაური თანხმდებოდა მიეღო რუსეთის პროტექტორატი, უფრო მეტიც, შესულიყო იმპერიის შემადგენლობაში. ამიტომ სასწრაფოდ დაძრეს ჯარები ტიბეტისაკენ. 3 ათასმა ჯარისკაცმა ფ რ ე ნ ს ი ს ი ა ნ გ ხ ა ზ ბ ე ნ დ ი ს მეთაურობით გაანადგურეს ტიბეტის ბევრად მრავალრიცხოვანი არმია, რომელსაც მოძველებული შეიარაღება გააჩნდა და მჭიდროდ მიუახლოვდა ლჰასას. დალაი-ლამა მონღოლეთში გაიქცა.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, დალაი-ლამას ყოფნას მონღოლეთის დედაქალაქ ურგეში უკმაყოფილოდ შეხვდა მონღოლების სულიერი ლიდერი ბოგდო გეგენომ VIII. ეს პიროვნება აღზრდილი იყო ტიბეტის მონასტერში და ეშინოდა, რომ სტუმარი მიითვისებდა მისი უფლებებისა და შემოსავლის ნაწილს, რის შემდეგ გახდებოდა ბუდისტების ახალი სულიერი ლიდერი. ამიტომ, ის ყველანაირად ცდილობდა საპატიო სტუმრისთვის გაერთულებინა ცხოვრების პირობები. სავარაუდოდ, აღნიშნული ვითარების გამო დალაი-ლამა წავიდა ჩინეთში მთა უტაიშანზე მოქმედ მონასტერში. აქ შეხვდა რუსეთის წარმომადგენლებს კარლ მანერჰეიმს და პეტრე კოზლოვს, რომელმაც აღმოაჩინა ტანგუტების ცივილიზაცია.

ერთია, რომ უცხო ადგილზე ყოფნა არასასიამოვნო იყო. გარკვეული დროის შემდეგ დალაი-ლამა შეხვდა პეკინის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მიიღო ნებართვა დაბრუნებულიყო ლჰასაში. მაგრამ აქ სიტუაციას ინგლისელები წარმართავდნენ. ამიტომ, ტიბეტის სულიერ ლიდერს მოუნია გარკვეული დრო ინდოეთში გაეტარებინა.

1913 წელს ტიბეტის უმაღლესი ხელისუფალი დაბრუნდა სამშობლოში და იმავე წელს გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით ტიბეტი გახდა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ასეთ გამარჯვებაზე ტიბეტელები ოცნებასაც ვერ გაბედავდნენ, რომ არა 1911 წელს ჩინეთში დაწყებული სინხაის რევოლუცია, რომელმაც წერტილი დაუსვა ცინის იმპერიის არსებობას [6, 9].

პირველი მსოფლიო ომის დროს, კერძოდ, 1916 წლის შემდეგ პეკინის მთავრობას არ შესწევდა ძალა, რომ აელაგმა თვითნებობა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ტიბეტი ფაქტობრივად გასული იყო ქვეყნის იურისდიქციიდან, ხოლო უცხოელი კოლონიზატორები პეკინის ნაცვლად ადგილობრივ მმართველებთან დებდნენ ხელშეკრულებებს სხვადასხვა საკითხებზე [2, 552-553].

უკვე ოფიციალურმა ლიდერმა დალაი-ლამამ გაატარა სერიოზ-

ული რეფორმები: მოახდინა ჩინოვნიკური აპარატის რეორგანიზაცია, შემოიღო ახალი საგადასახადო სისტემა, შექმნა პოლიცია და არმია. მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის საკვანძო თანამდებობებზე დაინიშნენ ნიჭიერი ადამიანები. ერთ-ერთი მათგანი იყო ლ უ ნ შ ა რ ი, რომელმაც განათლება ბრიტანეთში მიიღო. მას ჩააბარეს ტიბეტის არმიის მთავარსარდლობა. ლუნშარმა ჯარისკაცთა რაოდენობა 2 ათასამდე გაზარდა, სამხედროებს დაუნიშნა ხელფასი და სათანადო კვება, ინგლისურის ნაცვლად შემოიღო ტიბეტური უნიფორმა.

დევნილობიდან დაბრუნებული თხუფთენ გიაცოს მმართველობა 20-ზე მეტი წელი გაგრძელდა. მან საფუძველი ჩაუყარა ტიბეტის სახელმწიფოებრიობას – მიმოქცევაში გამოჩნდა ფული და საფოსტო მარკა, განისაზღვრა მართვის სისტემა, დაამტკიცეს სახელმწიფო დროშა. ტიბეტმა მიაღწია დიპლომატიურ აღიარებას – მონღოლეთის, ბუტანისა და ნეპალისაგან. მთელი ამ წლების განმავლობაში ქვეყნის ლიდერი ცდილობდა საბჭოთა რუსეთთან დაახლოებას, რომელიც თავის მხრივ პერიოდულად აგზავნიდა ტიბეტში თავის წარმომადგენლებს. დალაი-ლამა ასევე მიავლინებდა ხოლმე მოსკოვში დიპლომატებს მანამ, სანამ ბოლშევიკებმა არ აკრძალეს რელიგია – აღნიშნულ პერიოდში მოსკოვში სწავლობდა 20 ტიბეტელი სამხედრო საქმეს. ერთია, რომ როდესაც XIII დალაი-ლამა 1933 წელს გარდაიცვალა, მის მერ შექმნილმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ დიდხანს ვეღარ გაძლო [6, 9].

ცინხაის მხარე, ტიბეტისაგან განსხვავებით, კვლავ ჩინეთს ემორჩილებოდა და იქ ჩინური ხელისუფლების ორგანოები მყარი იყო. სწორედ ცინხაის ერთ-ერთ მთიან სოფელში დაიბადა XIV დალაი-ლამა ნ გ ა გ ვ ა ნ გ ლ ო ვ ძ ა ნ გ თ ე ნ ც ი ნ გ გ ი ა ც ო, რომელიც მსოფლიოს უპოპულარეს ადამიანთა ათეულში შედის და ნობელის პრემიის ლაურეატია.

ჩინეთის სათავეში ჩ ა ნ კ ა ი – შ ი – ს მოსვლის შემდგომაც ტიბეტი ჩინეთისგან განაპირებული და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელიც კი იყო, რადგან იქ ჩინელ მესვეურთა აზრს არავინ

ითვალისწინებდა ქვეყნის მართვისას. დალაი-ლამას კვლავაც აბსოლუტური ხელისუფლება ეპყრა ხელთ და არმიის შექმნას მკრეხელობად თვლიდა. აქედან გამომდინარე, არც სასაზღვრო ძალები ჰყავდათ და საზღვრებიც განსაზღვრული არ ოყო.

ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჰიტლერელთა სპეცსამსახურების მრავალი საიდუმლო ოპერაცია მოტივირებული იყო მოეძებნა მაგიური არტეფაქტები, აეხსნა სამყაროს საიდმულოებანი. „ ა ნ ე ნ ე რ ბ ე ს“ ეგიდით ესესელთა ექსპედიციები „დაეხეტებოდნენ“ ჰიმალაის ტერიტორიაზე, ხოლო წყალქვეშა ნავები ცურავდნენ არქტიკისა და ანტარქტიდის წყლებში [12, 20].

ფიურერმა საგანგებო ექსპედიცია გაგზავნა ტიბეტში ზებუნებრივი ძალაუფლების მოსაპოვებლად, მესამე რაიხის გასაძლიერებლად და შ ა მ ბ ა ლ ა ს მითიურ სამეფოსთან კონტაქტის დასამყარებლად [13, 53].

ამ საქმით იყო დაკავებული ტ უ ლ ე ს საზოგადოება. ამიტომ ნაცისტები კეთილგანწყობილი იყვნენ ინდუსებისა და ბუდისტებისადმი, რადგანაც ინდოეთი ითვლებოდა ა რ ი ე ლ ე ბ ი ს სამშობლოდ. პარტიული ელიტა მათდამი სიმპატიას გამოხატავდა [14, 20].

ჯერ კიდევ 1926 წელს ტულეს საზოგადოების წევრმა კ ა რ ლ ჰ ა უ ს ჰ ო ფ ე რ მ ა მოიწვია გერმანიაში ტიბეტელები და ინდოელები, რომლებმაც მიუნხენსა და ბერლინში შექმნეს პატარა კოლონიები. ერთ-ერთმა ტობეტელმა ბერმა, რომელსაც უწოდებდნენ „მწვანე ხელთათმანის ადამიანს“ და ჰქონდა ზედმეტი სახელი „ფიურერი“, სამჯერ სწორად ინინასწარმეტყველა რამდენ ადგილს დაიკავებდნენ ნაცისტები რაიხსტაგში [14, 22].

ასეთი ინტერესი ტიბეტისადმი ევროპის ქვეყნებს და მათ შორის ბოლშევიკებსაც გააჩნდათ. მაგალითად, XX სუკუნის 20-იან წლებში ტიბეტიდან „საიდუმლო სწავლების“ მონაწილეებმა ევროპაში გაგზავნეს ამოუცნობი მეტეორის ნატეხი – „ელექტროლიტი“. კატაკლიზმების პერიოდში მის გარეკანზე ჩნდებოდა წინასწარმეტყველების ნიშნები, რომლითაც გადმოიცემოდა მომავლის აზრი და პოლიტიკური პერსპექტივები.

მეტეორიტის ნატეხი ნ ი კ ო ლ ო ზ რ ე რ ი ხ მ ა შესთავაზა ერთა ლიგას – მაგრამ ორგანიზაციამ უარი განაცხადა მიეღო საკრალური საგანი. რერიხს მეტეორიტი ტიბეტში უნდა დაებრუნებინა – უფრო სწორად შამბალაში.

ქვას გააჩნდა მძლავრი კოსმუსური გამოსხივება. უფრო მეტიც, გავლენას ახდენდა ადამიანების აზროვნებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ქვას ფლობდა ნაციზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფაშისტური ოფიციოზის „Фолькише беобахтер"-ის ხელმძღვანელი – დ ი ტ რ ი ხ ე კ ა რ ტ ი [15, 252].

ჩვენ არ ვიცით იყენებდა თუ არა ფიურერი ამ ქვის ძალას ადამიანებზე ზემოქმედებისათვის, მაგრამ ცნობილია მისი კავშირები მაგიასთან და ტიბეტელ ბერებთან. ერთი რამ ფაქტია, რომ ჰიტლერს ეხერხებოდა თავისი გარემოცვის იმგვარად დამუხტვა, რომ ისინი თავიანთ შრომისუნარიანობას ორმაგად ზრდიდნენ [16, 28].

9141-1945 წლებში ტიბეტის საგარეო უშიშროებას და დალაილამას (მაშინ 9-10 წლის ბიჭი იყო) მეურვეებთან შეთანხმებით დიდი ბრიტანეთი იცავდა.

მოგვაინებით, როცა ჩინეთში მაო ძედუნმა პარტიზანული ომი დაიწყო და ქვეყნის ტერიტორიის 50% კონტროლს დაუქვემდებარა, ინგლისელებს აცნობა, რომ ტიბეტის ტერიტორია ჩინეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა და მოითხოვა დაეტოვებინათ ქვეყნის საზღვრები. საერთაშორისო სიტუაცია ისეთი იყო, რომ ბრიტანეთს მართლაც მოუწევდა აზიიდან წასვლა. ამიტომაც გაუბედა მათ მაომ იმ დროს ულტიმატუმით საუბარი.

დალაი-ლამას მეურვეთა დიდი სურვილის მიუხედავად, ინდოეთიდან 1947 გამოძევებულმა ინგლისელებმა ტიბეტის უსაფრთხოების დაცვა ვეღარ შეძლეს [1, 26]. მაომ ჩან კაი ში ტაივანზე გააქცია და 1949 წელს ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა.

ახალჩამოყალიბებული სახელმწიფო არავინ ცნო, საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტების გარდა: გაეროშიც ჩინეთის ადგილი ტაივანზე გაძევებული ჩან კაი შის წარმომადგენელს ეკავა. მიუხედავად ამისა მაო ძედუნმა ეთნიკურად განსხვავებული

კუთხეებისთვისაც მოიცალა, – აიღო შიდა მონღოლეთი, სინძიანი, მანჯურია და 1950 წელს ტიბეტსაც მიადგა. ტიბეტის უმაღლესი წინამძღოლი დალაი-ლამა იმხანად მხოლოდ 14-15 წლის ყმაწვილი იყო და ისევ არ ჰყავდა რეგულარული არმია. გარდა ტიბეტისა, დალაი-ლამა მონღოლეთისა და რუსეთის ფედერაციის ოთხი სუბიექტის – ბურიატიის, ტუვის, ყალმუხეთისა და ხაკასეთის უმაღლესი სასულიერო ლიდერიც იყო.

ჩინეთის არმია ჯერ კიდევ ტიბეტის საზღვრებთან იდგა, როდესაც მაო ძედუნს ინდოელმა ელჩმა საპროტესტო ნოტა გადასცა: „ჩინური არმიის შეჭრა ტიბეტში დიდ ზიანს მიაყენებს აზიის უსაფრთხოების შემდგომ განმტკიცებას. ამგვარია ინდოეთის ხელისუფლების აზი“, – ეწერა ნოტაში.

მაომ ნოტაზე პასუხის გაცემაც არ იკადრა და იმავე დღეს, 1950 წლის 17 ნოემბერს, ჩინეთის არმია ტიბეტში შვიდა. მიზეზი: მონათა და ყმა-გლეხთა გათავისუფლება იყო.

მაო ძდუნი წერდა: „ტიბეტში, როგორც ჩინეთის სამფლობელოში უნდა იყოს ისეთი კანონები, რომელიც სახალხო კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება. იქ კი მონობა დღმდე არსებობს“.

ჩინურმა არმიამ ტიბეტი ორ კვირაში აიღო და დალაი-ლამა სახალხო ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე დათანხმდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს მოხდა საბჭოთა კავშირის დახმარებით. ამ უკანასკნელმა ჩინეთს გადასცა ავიაპოლკი, იარაღი... და 300 მილიონი დოლარის 1%-იანი წლიური სესხი. სტალინი თვლიდა, რომ ტიბეტი უნდა შესულიყო ჩსრ-ს შემადგენლობაში, ისევე, როგორც შუა აზიის რესპუბლიკები შევიდნენ საბჭოთა კავშირში [6, 9].

1950-1959 წლებში XIV დალაი-ლამა თ ე ნ ც ი ნ გ გ ი ა ც ო ტიბეტის ავტონომიური რაიონის ხელისუფლების წევრიც იყო და პეკინში მაოსაც ხვდებოდა. თუმცა აბსოლუტური ხელისუფლების დათმობაზე არ თანხმდებოდა. ამიტომ, 1959 წელს მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად ინდოეთში გაქცევამ მოუწია [1, 27], უფრო სწორად, მასთან ერთად დევნილობის გზას დაადგა დაახლოებით

80 ათასი ტიბეტელი. ის ცხოვრობს განდევნილ ხელისუფლებასთან ერთად ჰ ი მ ა ჩ ა ლ - პ რ ა დ ე შ ი ს შტატის ქალაქ დ ჰ ა რ მ ს ა ლ ა შ ი, რომელიც ატარებს „პატარა ლჰასას“ სახელს.

ამის შემდეგ ჩინელებმა თვითმყობად ქვეყანაში დაამყარეს კომუნისტური ხელისუფლება. ამ ნაბიჯის ერთ-ერთი შედეგი გახდა ტიბეტური კულტურის სრული განადგურება, რომელიც ძირითადად იყო რელიგიური, ბუდისტური. დაახლოებით ასი ათასამდე ტიბეტელმა, მაოისტებისაგან გადარჩენის მიზნით ქვეყანა დატოვა და თავშესაფარი ჰპოვა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინდოეთი, ნეპალი და ბუტანი. 1960-იან წლებში ემიგრანტების მეორე ტალღამ ამირიკასა და ევროპას მიაშურა. დევნილობაში აღმოჩნდნენ: XVI კ ა რ მ ა პ ა, კარმას ხელმძღვანელი კ ა გ ი უ, ბუდიზმის სკოლები და მიმართულებები, რომლებიც აღმოცენდნენ ჯერ კიდევ XI საუკუნეში [17, 125].

მაოს მმართველობის პერიოდში 6 მილიონი ტიბეტელიდან 1, 6 მილიონი შიმშილით დაიღუპა, ან გარდაიცვალნენ ციხეებსა და ბანაკებში [18, 9]. ტიბეტელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის პაციფისტური მეთოდებით მიმდინარეობს – დალაი-ლამა ცდილობს, საკუთარი ავტორიტეტი ტიბეტის დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზებისთვის გამოიყენოს.

ბუდისტური მოძღვრებიდან გამომდინარე, იგი ყოველგვარი, თუნდაც სამართლიანი ძალის გამოყენების სასტიკი წინააღმდეგია. აქვე უნდა ითქვას, რომ ტიბეტელ ინდეპენდენტებს (დამოუკიდებლობის მოსურნეებს) შორის დალაი-ლამას მოწინააღმდეგეები არა ჰყავს – მისი ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ ტიბეტელები მთლიანად ენდობიან.

თანამედროვე ეტაპზე, აზიის გარდა, ბუდისტების ყველაზე მრავალრიცხოვანი თემი ამერიკაში ცხოვრობს და ტიბეტის დამოუკიდებლობის მომხრეა. ისინი ხშირად აწყობენ პიკეტებს აშშ-ის ჩინეთის საელჩოსთან, გაეროს შტაბბინასთან და ა. შ. მათ ხშირად არბევენ კიდეც, მაგრამ თავად ძალადობას გაურბიან.

2008 წლის ნოემბერში, როდესაც ჩინეთის ხელისუფლებამ „მო-

ნობისგან გათავისუფლების დღის“ (ანუ ტიბეტში ჩინური არმიის შეჭრის დღის) აღნიშვნა დააკანონა, მონასტრებში დიდი მღელვარება დაიწყო. ბერები მასობრივი თვითმკვლელობით დაიმუქრნენ, თუკი მათი უფლებების ხელყოფას მთავრობა თავს არ დაანებებდა. დაძაბულობა ისევ დალაი-ლამამ აღკვეთა: მან ბერებს მირჩილებისკენ მოუწოდა და სთხოვა, საკუთარ სენაკებში ელოცათ.

ამგვარი, თუნდაც პაციფისტური წინააღმდეგობაც კი, ჩინეთის მთავრობას მაინც დიდ თავსატეხს უჩენს, რადგან მსოფლიო საზოგადოებრიობის მნიშვნელოვან ნაწილს დალაი-ლამასადმი სიმპათიის გამო, მიაჩნია, რომ ტიბეტი დამოუკიდებელი უნდა იყოს [1, 27].

წმინდა ქალაქის – ლჰასას მცხოვრებთა უმრავლესობას ბერები შეადგენენ, ხოლო ტბიბეტური ენა მათთვის წმინდაა, რომელზეც იწერება წიგნები და განისწავლებიან სასულიერო პირები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. ლაბაძე, ტიბეტი, მშვიდობიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ჟურნ. „არსენალი“, 2012, №22.
2. ჩინეთის ისტორია, მთავარი რედაქტორი და შემდგენელი მარინე ჯიბლაძე, თბილისი, 2022.
3. М. Ромашко, Крепость красной горы, журн. „Загадки истории“, 2023 №1-2.
4. ე. ნადირაძე, მსოფლიოს რელიგიები, თბილისი, 2005.
5. დ. თინიკაშვილი, ზ. ჯაში, მსოფლიო რელიგიები, თბილისი, 2012.
6. Игор Родионов, Лхаса под прицелом, хурн. „Загадки истории“, 2021. №17.
7. А. Лауринчюкас, Гнев тайфуна, Москва, 1986.
8. Д. Куприянов, Маршал из тувы, журн. „Загадки истории“, 2023, №52.
9. Алина Данилова, Разведчик папы римского, журн. „Загадки истории“, 2023, №48.
10. Кришна Крипалани, Рабиндранат тагор, перевод с английского Л. Н. Асанова, Москва, 1989.
11. Журн. Загадки истории, 2019, №31.

12. Д. Митюрин, В поисках чудесной реликвии, журн. „Загадки истории“, 2019, №26.
13. ჯონათან უოტსი, ჩინეთი დღვანდელ მსოფლიოში, თბილისი, 2012.
14. О. Покровский, Мистика третьево рейха, журн. „Загадки истории“, 2019, №47.
15. Олег Шишкин, Битва за гималаи, Москва, 1999.
16. ალბერტ შპეერი, ჰიტლერი, თბილისი, 2012.
17. Тайная жизнь монастырей, „Тайны XX века“, 2025, №3.
18. Д. Куприянов, Посланик будды, Журн. „Загадки истории“, 2025, №27.

Avtandil Songulashvili
Doctor of Historical sciences, Professor,
Ivane Javakishvili Tbilisi State University
Ivane Javakishvili Institute of History and
Ethnology The Head of Department of the
Modern and Contemporary History

Tibet – Past and Present

Summary

Tibet is the highest region in the world – it is historically located in the Himalayas and covers an area of 1.2 million sq. km. Despite its large territory, in 2012 there were only 2.5 million inhabitants. The history of Tibet has been little studied, since this area has been considered a closed area for non-Buddhists since ancient times. The administrative center of Tibet has become Lhasa. The Buddhist doctrine spread from China in Tibet received the name of Tantrism. Their highest spiritual leader is called the Dalai Lama. Many nations have tried to conquer Tibet. Since the 1820s, it has been subordinated to Beijing and the Qin dynasty.

In the 1950s, Tibet was already conquered by communist China. In 1859, the Dalai Lama of Tibet, Tenzing Gyatso, fled to India. Thousands of Tibetans have also taken refuge in various countries. They are fighting for independence, but by pacifist methods.